დადგენილება:**დ-37. 37241782**
თარიღი:**26/06/2024**

**დადგენილება N7**

2024 წლის 26 ივნისი

ქ. ოზურგეთი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N2587-XIმს-Xმპ; 9.02.2023) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო*

**ა დ გ ე ნ ს** :

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის №37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/06/2018, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.113.016357) და დადგენილების მე-2 მუხლის ,,დ” პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/